პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 43 (6108)

1 მარტი, ოთხშაბათი 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## კრივი

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

საბჭოთა კავშირის 44-ე ჩემპიონატის მესამე დღეს განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თბილისელი ა. ხიზანიშვილისა და მოსკოველი ნ. ლავროვის მერვედფინალურმა შეხვედრამ.

სურათებზე: ა. ხიზანიშვილისა და ნ. ლავროვის შეხვედრის მომენტი; შესვენებაზე; გაიმარჯვა ა. ხიზანიშვილმა.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## ჭადრაკი

### ფინალისტები გამოვლინდნენ

დამთავრდა საქართველოს ვაჟთა პირველობის ნახევარფინალები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

#### გორიდან...

ფინალის საგზურს დაეუფლა ნ. ტერაშვილი (თბილისი), რომელმაც თითქმის უკონკურენციოდ მოიპოვა იგი. მეორე საგზურის ბედი დასკვნითს ტურში გადაწყდა დ. ჩაჩიბაიასა (თბილისი) და რ. ლომიძის (გარდაბანი) შეხვედრაში. ლომიძეს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს და მან შეძლო მიზნის მიღწევა.

ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: I. ტერაშვილი — 13 ქულა, II. ლომიძე — 11,5, III. ჩაჩიბაია — 11, IV-V. ი. სიფრაშვილი (სიღნაღი), ი. მანაშეროვი (ხაშური) — 10-10, VI. გ. მუჯნიაშვილი (გორი) — 9, VII. კ. ჯიოევი (ცხინვალი) — 8,5, VIII. თ. მეტრეველი (რუსთავი) — 7,5, IX. გ. შავდათუაშვილი (გორი) — 7, X. ბ. გოგოლაძე — 6,5. XI. ზ. დიდიმამიშვილი (ორივე — ახალციხე) — 5,5, XII. ხ. ხუციშვილი (მცხეთა) — 5, XIII. ს. ...ანაშვილი (ცხინვალი) — 4,5, XIV. ... ხოხობაშვილი (ახმეტა) — 4, XV-XVI. ჯ. ჯანეზაშვილი (გორი), ვ. ...ავაძე (თბილისი) — 3,5-3,5.

საზეიმო დახურვაზე, რომელზეც მოჭადრაკეებს სხვადასხვა ჯილდო გადასცეს, საგანგებოდ აღინიშნა გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის (დირექტორი რ. მაღლაკელიძე) კარგი მასპინძლობა. ითქვა ისიც, რომ ახალგაზრდა პაპავაძე არასაპატიო მიზეზით გამოეთიშა შეჯიბრებას.

დასასრულ მოეწყო ელვისებური თამაშის ტურნირი, რომლის ფინიშზე პირველი მივიდნენ: ი. მანაშეროვი (I), დ. ჩაჩიბაია (II), რ. ლომიძე და ი. სიფრაშვილი (III-IV).

ო. დოლიძე,
ნახევარფინალის მსაჯი.

#### ...სოხუმიდან

მთელი შეჯიბრების მანძილზე არ გამქრალა დაძაბული შეხვედრები, მაგრამ ფინალში თამაშის უფლება მარტო გამოცდილმა მოჭადრაკეებმა — ოსტატმა ა. შახტახტინსკიმ (სოხუმი) და ოსტატობის კანდიდატმა ლ. ნეუროვმა (ბათუმი) მოიპოვეს. ფინალის საგზურისთვის თავგამოდებით იბრძოდა აფხაზეთის ახალგაზრდა ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი რ. დადიანიც, რომელმაც პირველობის მეორე ნახევრის 8 შეხვედრაში 7 ქულა დააგროვა, მაგრამ სტარტზე დანაკარგი ვერ აინაზღაურა და მხოლოდ III ადგილზე გავიდა.

აი, საბოლოო შედეგებიც: I. შახტახტინსკი — 14 ქულა, II. ნეუროვი — 12, III. დადიანი — 11,5. შემდეგ მოდიან: გ. კალატოზიშვილი (თბილისი), გ. ჯანაშია (ზუგდიდი) — 10-10, ლ. ქუხილავა — 9, შ. კვარაცხელია (ორივე — სოხუმი), ა. მაჭავარიანი... ...ალაძე (ახალციხე) — 6,5-6,5, ნ. ...შვილი (სამტრედია), ა. ჭკადუა (სოხუმი) — 6-6, ნ. გელენავა (თბილისი), შ. ოვანოვი (ჭიათურა) — 5,5-5,5, ვ. კრუპი (ფოთი) — 5, ... წითლაძე (ბათუმი) — 4,5, რ. მა...ვალაშვილი (დუშეთი) — 4, ი. ...ლიძე (ტყიბული) — 3.

თ. ხუბაშვილი,
ნახევარფინალის მსაჯი-მდივანი, სპორტის ოსტატი.

# მესამე დღის კონტრასტები

— ამირან ხიზანიშვილის ბრძოლა პირველად ფრუნზეში ვიხილე, — გვითხრა სახელმწიფო მწვრთნელმა კრივში, მოსკოველმა დიმიტრი ტელპინმა. — მართალი გითხრათ მომეწონა, რადგან ძალზე გამოირჩეოდა ტემპერამენტითა და გამბედაობით, რაც, სამწუხაროდ, ბევრ ჩვენს მოკრივეს აკლია. საერთოდ კრივის საბჭოთა სკოლა მსოფლიოში ცნობილია თავისი მაღალი კლასით, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი სპორტსმენები რინგზე ნაკლებ აგრესიულობას იჩენენ. ამჟამად მწვრთნელთა საბჭო სწორედ იმ მიმართულებით მუშაობს, რომ ჩვენი მოკრივეები არც ამ მხრივ ჩამორჩნენ სხვა ქვეყნების სპორტსმენებს და თავისუფლად იბრძოლონ ნებისმიერი სტილის მეტოქესთან. სხვათა შორის წლევანდელი ჩემპიონატის ორგანიზატორებმაც გაითვალისწინეს ეს ამბავი და შეჯიბრება საერთაშორისო წესებით ტარდება. სასიხარულოა, რომ ამ მხრივ თქვენი მოკრივეები მეტ მონდომებას იჩენენ, რაც უდავოდ მათ სამხრეთულ ტემპერამენტს მიეწერება...

— ხომ ვერ დაგვისახელებდით აშკარა ფავორიტს რომელიმე წონაში?

— მეორე ქვესაშუალო (67 კგ), ალმაათელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. რაჩკოვი, თუმცა მოსკოველი ვ. ლიმასოვიც არ უნდა დავივიწყოთ...

ეს მოკლე საუბარი მერვედფინალური შეხვედრების წინ გაიმართა. იმ დღეს ვ. რაჩკოვმა კიდევ ერთ მეტოქეს, ტამბოველ ა. იონოვს სძლია და მეოთხედფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა (წინასწარ შეხვედრაში რაჩკოვმა თბილისელი ა. ჯავახიშვილი დაამარცხა). დილის შეხვედრებში განსაკუთრებულ ინტერესს მაინც ამირან ხიზანიშვილისა და მოსკოველი ნ. ლავროვის ბრძოლა იწვევდა. ლავროვი ახალგაზრდა, მზარდი მოკრივეა. იგი „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოსა და მოსკოვის ჩემპიონია, ამიტომ ამირანს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებდა მასთან შეხვედრისას. ამასთან იგი პირველად გამოდიოდა მშობლიურ ქალაქში ასეთი დიდი აუდიტორიის წინაშე და ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერიც მოითხოვდა დაძლევას. ა. ხიზანიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა. მან შესანიშნავ სტილში ჩაატარა შეხვედრა, გაიმარჯვა და ახლა წინ მეოთხედფინალური ბრძოლა ელის. ამ წონაში შარშანდელმა ჩემპიონმა, ტაშკენტელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ფელიქს პაკმა სძლია მოსკოველ ა. დვიზოვს, ხოლო დავით ტოროსიანმა — კრასნოიარსკელ იუმანოვს. კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ზასიპკომ, რომელმაც არმიელ ვ. ტრაიდუკოვთან შეხვედრაში მძიმე ორთაბრძოლა მოიგო.

საინტერესო გამოდგა მეორე საშუალო წონის მოკრივეების, ევროპისა და საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ლეონიდ შაპოშნიკოვისა და 1976 წლის საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორის, ასევე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის გენადი ტოლმაჩოვის შეხვედრა. ლ. შაპოშნიკოვმა ეს ბრძოლა აღმავლობით ჩაატარა, პირველ-ორ რაუნდში იგი გამუდმებით უტევდა მეტოქეს, მარცხენა ხელის ცრუ მოძრაობით აიძულებდა, რომ გახსნილიყო და რამდენჯერმე ძლიერი დარტყმების სერიაც ჩაუტარა. მესამე რაუნდში მან მოწინააღმდეგე ნოკდაუნში გაგზავნა და მართალია, გ. ტოლმაჩოვმა მსაჯის ნიშანზე კვლავ მიიღო საბრძოლო მდგომარეობა, მაგრამ მისმა სეკუნდანტმა პირსახოცი გადმოაგდო რინგზე, რითაც ბრძოლის შეწყვეტა მოითხოვა.

მძიმე წონის მოკრივეთა შეხვედრის შემდეგ წარსულში ცნობილ ოსტატს ანდრო ნავასარდოვს ვესაუბრეთ:

— ამ შეხვედრიდან უფრო მეტს ველოდი, — გვითხრა მან, — არ შემიძლია საყვედური არ გამოვთქვა შესანიშნავი მონაცემების მქონე ათლეტის ხ. ინჯოიანის მიმართ, რომელიც ა. კრასკოვთან ბრძოლაში, მეტი რომ არა ვთქვათ, ძალზე მოუმზადებლად გამოიყურებოდა. იგი ცუდად ფლობს ბევრ ტაქტიკურ ელემენტს და მიუხედავად გამარჯვებისა, რომელიც ამ შეხვედრაში მოიპოვა, თავის შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად იბრძოდა. დღევანდელ ბრძოლას ვერც საბჭოთა კავშირის 1975 წლის აბსოლუტურ ჩემპიონს, მოსკოველ პ. ზაევს მოუწონებდა კაცი. იგი კარგი, გამოცდილი მოკრივეა, მაგრამ დ. ტიხომოლოვთან შეხვედრა საკმაოდ სუსტად ჩაატარა, ორი ნოკდაუნიც კი მიიღო და მხოლოდ მეტოქის დაზიანებულმა წარბმა იხსნა აშკარა დამარცხებისგან (დ. ტიხომოლოვი ამ ტრავმის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა). შედარებით უკეთ იასპარეზა ე. გორსტკოვმა. როგორც ვიცით, იგი საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი და გამოცდილი, მეტად ტექნიკური, სწრაფი მოკრივეა. თუმცა, ხარკოველ ზადოროჟნისთან არც ისე იოლად მიაღწია გამარჯვებას. მომეწონა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, მოსკოველი ი. ვისოცკისა და ვ. ბურცევის შეხვედრა. ამ ორთაბრძოლაში კრივის თითქმის ყველა ატრიბუტი გამოვლინდა. იყო ყრუ დაცვა და მძაფრი შეტევა, ტაქტიკური ბრძოლა და ტექნიკური არსენალის დემონსტრირება, იყო ნოკდაუნიც... სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა ი. ვისოცკიმ დამსახურებულად გაიმარჯვა. მებრძოლის კარგი თვისებები გამოავლინეს მ. სუბოტინმა და ს. დიომინმა. ამ უკანასკნელმა ნოკაუტით მოუგო შარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონატის პრიზიორს ი. გუროვიჩს. აღსანიშნავია გროდნოელი სტუდენტის, დ. ტიხომოლოვის კარგი გამოსვლაც. მთავარი ბრძოლები კი წინაა. თბილისელ მაყურებელს კიდევ მრავალი სასიამოვნო წუთები ელის.

ნ. შატაიძე.

(დასასრული იხ. მე-3 გვ.).







## ტელეტაიპის ლენტიდან

ბონი. მინსკელმა ელენე ბელოვამ ვენინგენში გამართულ მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირის ფინალური შეხვედრები დაუმარცხებლად განვლო. მან აჯობა ისეთ ძლიერ მეტოქეებს, როგორიც არიან: ილდიკო რეიტე (უნგრეთი), კატარინა რაცოვა (ჩეხოსლოვაკია), სუზანა არდელეანუ (რუმინეთი), ბრიჟიტ ლატრიი (საფრანგეთი)...

ბონი. ინცელში ფფრ-ის ღია ჩემპიონატში სპრინტერულ მრავალჭიდში 500-მეტრიან დისტანციაზე უკონკურენტოდ გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. აქ საუკეთესო იყო ტატიანა ავერინა — 42,22.

ანტვერპენი. მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელებმა ბელგიაში მოიგეს ამხანაგური შეხვედრა „ანტვერპენთან" — 2:1 (1:0). ისინი 2 მარტს ესპანეთის ქალაქ სევილიაში გამართავენ თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩს „რეალ-ბეტისთან", რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატის 23-ე ტურში წააგო ალიკანტეს „ჰერკულესთან" — 0:2.

## დღეს

სპორტის სასახლეში დასრულდება მეოთხედფინალური შეხვედრები, სადაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები დ. კვაჭაძე, ა. ხიზანიშვილი, მ. თაქთაქიშვილი, ო. განჯოიანი იასპარეზებენ.

დილის ასპარეზობათა დასაწყისი 12 ს. 30 წთ. საღამოსი — 18 ს. 30 წთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა







# იმედი იმედად რომ არ დარჩეს

ცურვა სპორტის ერთ-ერთ იმ სახეობათაგანია, რომელსაც გამორჩეული ინტერესით ვადევნებთ თვალს. მაგრამ, შემდეგ, როდესაც მიწყდება წყლის დგაფუნი, როდესაც დაცარიელდება ტრიბუნა, მაშინ მოცურავეთა პაექრობას ერთობ უხალისოდ ვიხსენებთ.

ცურვის გულშემატკივრები უთუოდ მიხვდებიან, თუ რა რანგის შეჯიბრებას ვგულისხმობთ.

სპარტაკიადებზე ცურვა სწორედ ის სახეობაა მძლეოსნობასთან ერთად, რომელშიც ყველაზე მეტი ქულების დაგროვება შეიძლება. აი, ამიტომაცაა ცურვა ერთ-ერთი გამორჩეული სახეობა. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს მოცურავეები შესაძლებელს ვერ აღწევენ. ამიტომაც ვიხსენებთ, უხალისოდ მოცურავეთა შეჯიბრებას.

ამას წინათ ვაკის საცურაო აუზში თბილისელ მოცურავეთა შეჯიბრება დამთავრდა. საქალაქოს რესპუბლიკური მოჰყვა. ორივე შეჯიბრებამ, ცოტა არ იყოს, უკეთესი მომავლის იმედი ჩაგვისახა.

„ლელოს" მკითხველებს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული საქართველოს მოცურავეთა უფროსი მწვრთნელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლ. იოაკიმიდის წერილი — „იმედის მომცემი სტარტები" გვინდა შევახსენოთ, რომელიც საქალაქო შეჯიბრებას ეხებოდა. როგორც სათაურიდან ჩანს, შეჯიბრების შედეგები იმედის მომცემი იყო. მოცურავეთა უმრავლესობამ პირადი რეკორდები გააუმჯობესა. არა და, სეზონის სტარტზე, როგორც ცნობილია, თითოოროლა მოცურავე თუ აუმჯობესებს პირად მიღწევებს.

ჩვენმა მოცურავეებმა შემდეგ, უკვე რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, კიდევ უფრო გააუმჯობესეს შედეგები. შეჯიბრების გვირგვინი გახლდათ 15 წლის თბილისელი ი. აზმაიფარაშვილის რესპუბლიკური რეკორდი (200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 2.36,9). ინგამ, როგორც ვიუწყებოდით, თავის თანაგუნდელებთან ი. მალინინასთან, მ. დანელიშვილთან და ნ. ზალდასტანიშვილთან ერთად კიდევ ერთი რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა, ამჯერად გოგონებისა 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში.

აღსანიშნავია, რომ ინგაც და მისი თანატოლებიც რესპუბლიკურ შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდიოდნენ, რადგან ასპარეზობა 1961 წელსა და უფრო ადრე დაბადებულ მოცურავეთათვის იყო გამიზნული. მიუხედავად ამისა, თითქმის ყოველი გაცურვის შემდეგ ფინიშთან პირველებს სწორედ ნორჩ მოცურავეებს ვხედავდით.

მაგრამ მკითხველმა ისე არ გაგვიგოს, თითქოს უმცროსებმა მაღალი შედეგებით დაჯაბნეს უფროსები. არა, მათი შედეგები სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივებს არ აღემატება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, პატარებს მეტი პერსპექტივა აქვთ და სწორედ ამდენად გვახარებს მათი შედეგები. სავარაუდოა, რომ ისინი ზაფხულისთვის საგრძნობლად გააუმჯობესებენ შედეგებს და ტაშკენტის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ისე აღარ ჩამორჩებიან მეტოქეებს, როგორც ეს ლვოვის ან ალმა-ათის სარბიელზე მოხდა.

მაგრამ, მოდით, ნორჩებზე საუბარი აქ შევწყვიტოთ, რადგან რესპუბლიკური შეჯიბრება მათი უფროსი კოლეგებისთვის იყო გამიზნული.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უფროსები უმცროსებთან დამარცხდნენ. უფროსი ასაკის მოცურავეთაგან 30-ჯერ აღინიშნა სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგი. სპორტის ოსტატის შედეგზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო. ეს კი არა და, პრიზიორთა შორის ექვსი მოცურავე II თანრიგის შედეგითაც მოხვდა.

აქედან დასკვნის გამოტანა ძნელი არაა, საქართველოს ნაკრებში ფაქტიურად უფროსი ასაკის მოცურავეები არ გვყავს, ხოლო თუ ვინმე გვყავს, ისიც თითზე ჩამოსათვლელნი არიან. ერთ-ერთი მათგანი არის თბილისის ბურევესტნიკელი ა. იევლევი. მისი ხნის მოცურავეებმა 70-იანი წლების დასაწყისში მიატოვეს სარბიელი. ა. იევლევი კი დარჩა. თანაც მისი მჯობნი ბრასის სტილით ცურვაში ჯერ ფაქტიურად არ გამოჩენილა. იყო რამდენიმე მოცურავე, რომლებზეც გარკვეულ იმედებს ვამყარებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი იმედად დაგვრჩა. იევლევი, მართალია, ზოგჯერ პირველობას ჰკარგავდა (მწვავე ბრძოლაში), მაგრამ, სამაგიეროდ, მას მუდამ ვხედავდით საპატიო კვარცხლბეკის ერთ-ერთ საფეხურზე.

იევლევმა ერთი „საიდუმლო" გაგვანდო. გვითხრა: „ჩემი ხნის მოცურავეებმა სარბიელი რომ მიატოვეს, ვიფიქრე, ახალგაზრდა მეტოქეები მალე დამამარცხებენ და მეც ქუდს დავიხურავ-მეთქი. ამიტომაც სერიოზულად აღარ ვეკიდებოდი ვარჯიშებს. არც ამ შეჯიბრებისთვის „მომიკლავს" თავი, მაგრამ კვლავ გავიმარჯვე, თანაც ორივე დისტანციაზე, ოსტატობის კანდიდატის შედეგებით. ახლა, ალბათ, საკავშირო სპარტაკიადამდე ველარავინ გამიწევს სერიოზულ მეტოქეობას და გულმოდგინედ უნდა დავიწყო ვარჯიში".

საოცარია, რატომ აღარ გვყავს ისეთი მაღალი კლასის ბრასისტები, რომლებითაც ერთ დროს თავს ვიწონებდით? საქალაქო შეჯიბრებაზე საქართველოს მოცურავეთა უფროსმა დამრიგებელმა რამდენიმე ნორჩ ბრასისტს იმედიანად დაადგა თვალი. გვინდა ვირწმუნოთ, რომ იმედი იმედად აღარ დაგვრჩება.

საქართველოს მოცურავეებს არ გაუჭირდებოდათ, უღელის მთელი სიმძიმე ფაქტიურად მხოლოდ თბილისელებს რომ არ აწვებოდეთ. ამ შეჯიბრებაში, მაგალითად, თბილისელებმა 69 საპრიზო ადგილიდან (ესტაფეტების ჩაუთვლელად) 57 მოიპოვეს. პერიფერიის მოცურავეებისთვის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მხოლოდ ოთხი ადგილი აღმოჩნდა. მეორე საფეხურზე — 4, ხოლო მესამეზე — 5.

## ცურვა

იყო დრო, როდესაც აჭარელი მოცურავეები საკმაოდ მძაფრ კონკურენციას უწევდნენ თბილისელებს. სხვათა შორის, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზეც საქართველოს მოცურავეთა ნაკრების ქულათა ყულაბაში ლამის ნახევარი ბათუმელთა ანგარიშზე მოდის. მაგრამ აქ დაზუსტებაა საჭირო — ბათუმელები ერთადერთი მოცურავის ი. ომელჩენკოს წყალობით გავიდნენ ფონს. ახლა, რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ბათუმელები თავიანთი „ოქროს თევზის" გარეშე ჩაებნენ ბრძოლაში და მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვეს. ბათუმელთა ანგარიშზეა კიდევ ერთი II და ორიც III ადგილი. ეს, როგორც ხედავთ, წვეთია ზღვაში. ბათუმელებს ერთმა კარგმა მოცურავემ არამც და არამც არ უნდა მისცეს დამშვიდების უფლება.

აჭარელი მოცურავეების მსგავსად აფხაზეთის წარმომადგენლებიც ხშირად ართმევდნენ თბილისელებს ოქროს მედლებს. ახლა კი ერთადერთი III ადგილი ძლივს მოიპოვეს.

ჭიათურაში აგერ უკვე ერთი ათეული წელია, რაც ზამთრის საცურაო აუზი არსებობს. რესპუბლიკის ნაკრებში კი „შავი ოქროს ქალაქის" ვერც ერთ წარმომადგენელს ვერ ვხედავთ. ჭიათურელი სპორტის მესვეურებისთვის ეს ფაქტი, რბილად რომ ვთქვათ, სამარცხვინოა.

ქუთაისშიც კარგა ხანია შესანიშნავი საცურაო აუზების კომპლექსი აიგო. იქაურმა მოცურავეებმა, მართალია, ახლა ორ-ორი I და II, ერთიც III ადგილი დაიკავეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ესეც ცოტაა.

და ბოლოს, რუსთაველთა შესახებ. მათი მუშაობის შეფასება მხოლოდ ამ შეჯიბრების შედეგებით, ცოტა არ იყოს, ნაადრევია, რადგან არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ზამთრის საცურაო აუზი აქვს. ამიტომ, ცხადია, რუსთაველებმა შეჯიბრებაში მხოლოდ ნორჩები გამოიყვანეს. ერთადერთი გამონაკლისი ლ. კურგულცევა გახლდათ. ლარისამ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში III ადგილი მოიპოვა.

ა. გურასაშვილი.

## ტექნიკური შედეგები

**ქალები. თავისუფალი სტილი. 100 მ.** ნ. ბახტაძე — 1.05,1, ი. კოროტკოვა — 1.05,5, ი. პოტაპოვა (ყველა თბილისი) — 1.05,7; **200 მ.** ბახტაძე — 2.19,6, კოროტკოვა — 2.24,7, მ. მაჭარაძე (თბილისი) — 2.27,9; **400 მ.** ბახტაძე — 4.56,9 ტ. კოსტარიოვა (ქუთაისი) — 5.17,3, ლ. კურგულცევა (რუსთავი) — 5.46,3; **800 მ.** ბახტაძე — 10.15,0, სოვდაგრიშვილი — 10.47,1; **ბრასი. 100 მ.** სოვდაგრიშვილი — — 1.25,2, მ. ხარდინა (აჭარა) — 1.25,4, ლ. მაზონინა (თბილისი) — 1.26,4, **200 მ.** ვ. ჟენინკოვა (თბილისი) — 2.58,9, მაზონინა — 3.01,3, ლ. ზენინკოვა (აჭარა) — 3.03,0; **ბატერფლაი. 100 მ.** ტ. კოსტარიოვა — 1.11,3, კოროტკოვა — 1.12,18, მაჭარაძე — 1.15,6; **200 მ.** კოროტკოვა — 2.39,9, ნ. თოფურია (თბილისი) — 2.49,4; **გულაღმა. 100 მ.** მოროზოვა — 1.13,5, მ. კუპაიძე — 1.14,9, ლ. ციბულსკაია (ორივე — თბილისი) — 1.15,9, **200 მ.** კუპაიძე — 2.36,8, მოროზოვა — 2.38,2, მ. გოგაძე (თბილისი) — 2.44,0; **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** სოვდაგრიშვილი — — 2.41,5, მოროზოვა — 2.43,8. მაჭარაძე — 2.45,0; **400 მ.** სოვდაგრიშვილი — 5.47,6, ბახტაძე — 5.48,4, მოროზოვა — 5.56,3; **ესტაფეტა 4×100 მ. თავისუფალი სტილით.** თბილისი — 4.23,8, აფხაზეთი — 5.41,2, **კომბინირებული ესტაფეტა.** თბილისი — 5.01,0, აფხაზეთი — 6.37,9.

**ვაჟები. თავისუფალი სტილი. 100 მ.** ა. შირინკინი — 57,9, გ. გოდერძიშვილი — 58,8, ვ. სენკევიჩი (ყველა — თბილისი) — 1,00,1; **200 მ.** შირინკინი — 2.04,1; გ. შატოხინი — 2.06,8, ა. ჯიბლაძე (ორივე — თბილისი) — 2.11,3; **400 მ.** შირინკინი — 4.22,1, შატოხინი — 4.29,8. ნ. მოროზოვი (აჭარა) — 4.30,0; **1500 მ.** ი. ლიანოვი (აჭარა) — 19.03,3. ს. გევორქიანი (თბილისი) — 19.14,2, ვ. ბოლხოვი (აფხაზეთი) — 19.59,5; **ბრასი. 100 მ.** ა. იევლევი (თბილისი) — 1.12,5, გ. შერმადინი — 1.13,8, ს. ნედელკო (თბილისი) — 1.14,2. **200 მ.** იევლევი — 2.37,3, შერმადინი — 2.39,6, გ. სერიოჟინი (თბილისი) — 2.39,7; **ბატერფლაი. 100 მ.** გოდერძიშვილი — 1.02,2, შერმადინი — 1.04,1, მ. ოქიტაშვილი (თბილისი) — 1.06,4; **200 მ.** გოდერძიშვილი — 2.23,6, ოქიტაშვილი — 2 37,2, კ. შერაზადიშვილი (თბილისი) — 2.47,2; **გულაღმა. 100 მ.** ვ. რაზოვსკი (ქუთაისი) — 1.08,8, ა. გეტმანოვი — 1.10,1, ნ. წერეთელი (ორივე — თბილისი) — 1.10,3; **200 მ.** ი. მახარაძე (ბათუმი) — 2.29,4, ი. ბოგალოვი (თბილისი) — 2.30,7, რაზოვსკი — 2.33,6; **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** ჯიბლაძე — — 2.23,8, გოდერძიშვილი — 2.23,9, ვ. მახარობლიძე (თბილისი) — 2.31,6; **400 მ.** შერმადინი — 5.09,3, შ. გოგელიძე (ქუთაისი) — 6.10,8; **ესტაფეტა 4×100 მ. თავისუფალი სტილით.** თბილისი — 4.23,8, აფხაზეთი — 5.41,2; 4×200 მ. თბილისი — 9.01,2, აჭარა — 9.33,2, აფხაზეთი — 9.47,1; **კომბინირებული ესტაფეტა.** თბილისი — — 4.39,2, აჭარა 4.49,4, აფხაზეთი 4.53,0.

გუნდური: თბილისი 3126 ქულა, აჭარა — 1034, აფხაზეთი — 420.

**სურათებზე:** ა. მახარაძე შეჯიბრების დროს; თბილისელი ნ. ბახტაძე, რომელმაც თავისუფალი სტილით ცურვაში ოთხივე დისტანციაზე გაიმარჯვა; უმცროსი ასაკის მოცურავეები მ. დანელიშვილი, ნ. ზალდასტანიშვილი, ი. აზმაიფარაშვილი და ი. მალინინა, რომლებმაც 4×100 მეტრზე ესტაფეტაში თავისუფალი სტილით ცურვაში გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს.



**თბილისის 44-ე საშუალო სკოლის** მერვეკლასელი სამთომოთხილამურე ჯ. ფხაკაძე წლეულს ორჯერ ავიდა გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, — ჯერ რესპუბლიკის ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის, ხოლო მეორედ — მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში წარმატებისთვის.

**სურათზე:** ჯ. ფხაკაძე

მ. ზაქარეიშვილის ფოტო.

# ერთი შეჯიბრების „საოცრებანი"

**სათხილამურო** სპორტში მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობებს მაინცდამაინც დიდი ყურადღება რომ არ ეთმობოდა, სადავო არაა, მაგრამ უკანასკნელ ხანს ამ მიმართებით ერთგვარი სასიკეთო ძვრები მოხდა. ამიტომ მოულოდნელი იყო სამთო-მოთხილამურეთა წლევანდელი რესპუბლიკური შეჯიბრების ბედი.

ასპარეზობაში 1960-61, 62-63, 64-67 წლებში დაბადებულნი სამ ჯგუფად მონაწილეობდნენ. მათ დავა მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების პერიოდში, 7-12 იანვარს უნდა გაერკვიათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო პირველობა განუსაზღვრელი ვადით გადაიდო და აი, შუა თებერვალში ბავშვები სახელდახელოდ კვლავ მიიწვიეს საასპარეზოდ. მოხდა ისე, რომ მთავარი მსაჯი ო. ვეზდენი სტარტის წინა დღეს გ. ჯიქოევით შეცვალეს. მან შეჯიბრების დებულება და ხარჯთაღრიცხვა მხოლოდ იმ დღეს მიიღო. ცხადია, ასე ფაციფუცით რესპუბლიკურ ტურნირს მაღალ დონეზე ვერ ჩაატარებ. მით უმეტეს, მის დასახმარებლად არც განათლების სამინისტროდან ჩამოსულა ვინმე და არც სპორტკომიტეტის შესაბამისი განყოფილებიდან.

ტრასები ხეირიანად ვერ მომზადდა. ფაციფუცით შეკრებილ მსაჯთა შორის მონაწილეთა მშობლები და მწვრთნელებიც იყვნენ. უფრო მეტიც, მსაჯთა კოლეგიის სხდომებსა და წილისყრას „არამსაჯი" მშობლებიც ესწრებოდნენ და თავიანთი უადგილო ჩარევით, კიდევ უფრო ართულებდნენ საქმეს.

განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სამთო-სათხილამურო სპორტული სკოლის უფროს მწვრთნელს ი. ნასყიდაშვილსა და მსაჯთა კოლეგიას შორის უთანხმოებამ თავი იჩინა მთელ რიგ საკითხებში — განსაკუთრებით სპეციალურ სლალომში ასპარეზობისთვის მზადებისას.

ნასყიდაშვილი მის შემცირებას მოითხოვდა. ამ შემთხვევაში ტრასა საკლასიფიკაციო ნორმებს აღარ შეესაბამებოდა, ამიტომ ნასყიდაშვილის წინადადება არ მიიღეს. მაგრამ გამოჩნდა ახალი დაბრკოლება — თოვლსატკეპნი მანქანა დაზიანდა, რამაც დისტანციის გაწყობა გაართულა. ნასყიდაშვილმა კვლავ წამოაყენა ულტიმატუმი და იმის ნაცვლად, რომ განათლების სამინისტროს სპორტსკოლის აღსაზრდელებით მსაჯთა კოლეგიას 300-მეტრიანი ტრასის მოწყობაში დახმარებოდა, თავისი გუნდი შეჯიბრებიდან მოხსნა. პერსპექტიული ბავშვები ჯ. ფხაკაძე, გ. ქართველიშვილი, ი. შუბაშვილი, გ. ხაზარაძე და სხვები სლალომში მაყურებლის როლში აღმოჩნდნენ. მწვრთნელმა და ზოგიერთმა მშობელმა ნორჩებს ასე უხეირო სამსახური გაუწიეს.

გაუთავებელი დავაა მიზეზი იმისა, რომ შეჯიბრების დამთავრებიდან ორ კვირაზე მეტი გავიდა, გუნდური შედეგები კი დღემდე არ არის შეჯამებული.

გაგაცნობთ პირად ტურნირში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამარჯვებულებს: **გოგონები. სწრაფდაშვება.** თ. ბანდური — 1.39,3, თ. გელაშვილი (ორივე — ბორჯომი, „დინამო") — 1.21,2; ქ. ალექსი-მესხიშვილი (თბილისი, განათლების სამინისტრო) — 1.34,3. **გიგანტური სლალომი.** მ. ხრიკაძე — 59,5; მ. კოზანაშვილი (ორივე — ბორჯომი, „დინამო") — 54,4; ფ. ფანჯაკიძე (ბორჯომი, განათლების განყოფილება) — 57,2. **სლალომი.** თ. ბანდური — 1.28,5, მ. კოზანაშვილი — 1.20,2; ნ. ფარჯიანი (მესტია) — 2.35,5. **ბიჭები. სწრაფდაშვება.** ი. დიაკონაშვილი — 1.19,1; ვ. სანაკოევი (ორივე — ბორჯომი, „დინამო") — 1.25,9; ჯ. ფხაკაძე (თბილისი, განათლების სამინისტრო) — 1.17,0. **გიგანტური სლალომი.** ი. დიაკონაშვილი — 50,9; ვ. სანაკოევი — 52,5; ა. გოქაბერიძე (ბორჯომი) — 51,9. **სლალომი.** ი. დიაკონაშვილი — 1.15,8; ი. ბანდური — 1.25,5, გ. დიაკონაშვილი (ორივე — ბორჯომი) — 1.17,9.

მ. ზაქარეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესამე დღის კონტრასტები

დასასრული

**მოკლედ ტექნიკური შედეგები**

48 კგ. ვ. პლაკუშჩი (ალმა-ათა) — ი. სიდელნიკოვი (გორლოვკა), ა. აირაპეტიანი (კიროვაკანი) — ბ. ჟამანკულოვი (კუსტანაი), შ. საბიროვი (კრასნოდარი) — ო. ერგაშოვი (ტაშკენტი), ს. ბონდარენკო (ნიკოლაევი) — ტ. აიტბაგინოვი (ცელინოგრადი), ა. კოლგინი (როსტოვი) — ს. ოჰანესიანი (ერევანი), ა. ბოდნია (ლვოვი) — ვ. ბაბაიანი (ბაქო), ა. კლუევი (კრასნოდარი) — რ. ნასიროვი (იაროსლავლი).

54 კგ. ფ. პაკი (ტაშკენტი) — ა. დვიზოვი (მოსკოვი), კრასნოდარელ ა. დენისოვს მოწინააღმდეგე ვ. ლიტვინოვი (კრასნოდარი) არ გამოუცხადდა, ამიტომ მსაჯებმა გამარჯვება მას მიაკუთვნეს. ა. ხიზანიშვილი (თბილისი) — ნ. ლავროვი (მოსკოვი), ს. ვასიუტკინი (ვოლგოგრადი) — ს. კონსპეკოვი (ბარნაული), დ. ტოროსიანი (ერევანი) — ნ. იუმანოვი (კრასნოიარსკი), გ. ოჰანესიანი (ერევანი) — ნ. ხრაპცოვი (ტამბოვი), ვ. ზასიპკო (დონეცკი) — ვ. ტრაიდუკოვი (ვლადივოსტოკი).

60 კგ. ვ. სოროკინი (ორენბურგი) — ი. სტეპანოვი (მინსკი), გ. გლაზირინი (ლენინგრადი) — ს. პეტრგაევი (გროზნო), ა. ვოლკოვი (მოსკოვი) — ა. ოსიპენკო (ილოვაისკი), ვ. სოლომინი (მოსკოვი) — ვ. ბონდარენკო (ჩიტა), მ. გლუშენკო (ალმა-ათა) — ი. ემელიანოვი (დნეპროპეტროვსკი), ი. პროხოროვი (ვიტებსკი) — ნ. ჟირკოვი (იაკუტსკი), დ. გრუზოვი (ტაშკენტი) — ს. სალნიკოვი (ჩელიაბინსკი).

67 კგ. მ. ტერენტიევი (ლენინგრადი) — ა. კონდრატასი (კაუნასი), ვ. ბოდნია (რიგა) — ვ. პეჩენკინი (რსფსრ), პ. გალკინი (კოპეისკი) — პ. კრუკოვი (ტაგანროგი), ვ. ლიმასოვი (მოსკოვი) — ვ. გუტნიკი (კალინინი), ვ. რაჩკოვი (ალმა-ათა) — ა. იონოვი (ტამბოვი), ი. ზაიცევი (რსფსრ) — ა. ფრანკოვსკი (კიევი), ქ. ბუკენოვი (ჯამბული) — ვ. ბიტე (რიგა), ო. ტეპცოვი (კიევი) — ვ. ლისიცინი (ორენბურგი).

75 კგ. ი. ტორბეკი (მინსკი) — ნ. არუთინიანი (ეჩმიაძინი), ვ. ტელეგინი (ტამბოვი) — ბ. გრიცაკი (ლვოვი), ლ. შაპოშნიკოვი (ლვოვი) — გ. ტოლმაჩევი (ნარვა), გ. გორდეევი (ჩებოქსარი) — ა. სახაბეევი (რსფსრ), ვ. შინი (ტაშკენტი) — ვ. ხურნოვი (ლენინგრადი), ა. სტოლიაროვი (ლენინგრადი) — ი. ზიბროვი (კასპიისკი), ვ. კუშნარიოვი (ბლაგოვეშჩენსკი) — ა. კოსაჩი (ლენინგრადი), ვ. დანშინი (მოსკოვი) — რ. სალიმოვი (სამარყანდი).

81 კგ.-ის ზემოთ. ხ. ინჯოიანი (ერევანი) — ა. კრასკო (მაკეევკა), ი. არაქელოვი (ბაქო) — ი. ვოლკოვი (კრასნოკამსკი), ი. ვისოცკი (მოსკოვი) — ვ. ბურცევი (უხტა), ს. დიომინი (როსტოვი) — ი. გუროვიჩი (ნიკოლაევკა), პ. ზაევი (მოსკოვი) — დ. ტიხომიროვი (გროდნო), ა. ლუკოტინი (ხარკოვი) — ა. შვაიკო (დონეცკი), ე. გორსტკოვი (მოსკოვი) — ლ. ზადოროჟნი (ხარკოვი), მ. სუბოტინი (მოსკოვი) — ნ. მალიხი (მინსკი).

**შენიშვნა:** პირველად დასახელებულნი არიან ის მოკრივეები, რომლებმაც გამარჯვებას მიაღწიეს.









### გუშინ

გაიმართა მერვედფინალური შეხვედრები. შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა სპორტის ოსტატმა მურმან თაქთაქიშვილმა (71 კგ), რომელმაც დაამარცხა სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი იუნიორებს შორის ა. კოპტევი. გამარჯვება იზეიმა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა ო. განჯოიანმაც (51 კგ), მან ნოვოკუზნეცკელ ო. მალიკს სძლია. დიდი ინტერესი გამოიწვია ქვემძიმე წონის მოკრივეების დ. კვაჭაძისა და კიროვაკანელი ლ. გევორქიანის ბრძოლამ. ქართველმა სპორტსმენმა ამ შეხვედრაში დამაჯერებლად გაიმარჯვა.

სურათებზე: მელბურნის ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის სამგზის ჩემპიონი კრივში, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვ. ენგიბარიანი; ვ. დანშინისა და რ. სალიმოვის შეხვედრის მომენტი; წარსულში ცნობილი მოკრივე ვ. ბარანნიკოვი გაფრთხილებას აძლევს ა. კოსაჩს; ვ. გორდეევმა ნოკდაუნში გაგზავნა ა. სახაბეევი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## კალათბურთი

### ს. ბელოვი და ჟარმუხამედოვი — 70 ქულა!

**უმაღლესი** ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში ერთი მატჩი გაიმართა.

რიგის ვეფ-ი მასპინძლობდა სსრ კავშირის ჩემპიონებს — მოსკოველ არმიელებს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 141:122 (75:67). გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ ბელოვი და ჟარმუხამედოვი — 35-35 ქულა, ხოლო დამარცხებულთაგან ქვიგურსი — 33.

## ხელბურთი

### მოგებაც, წაგებაც

**რიგასა** და ლვოვში გრძელდება უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები.

ლვოვში თბილისის „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა ლვოვის არმიელები 18:17 (9:10), შემდეგ კი წააგო ბაქოელ არმიელებთან — 23:32. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ასკ (ბაქო) — „გრანიტასი“ (კაუნასი) 24:31, ასკ (მინსკი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 20:35, „გრანიტასი“ — ასკ (მინსკი) 24:21, საავიაციო ინსტიტუტი — ასკ (ლვოვი) 31:23. ლვოვის ჯგუფში ახლა ორი ლიდერია — საავიაციო ინსტიტუტის გუნდსა და „გრანიტასს“ 6-6 ქულა აქვთ, ლვოველ არმიელებსა და „ბურევესტნიკს“ 2-2, ხოლო მინსკელებს—არცერთი.

გუშინ ტურნირზე დასვენების დღე იყო.

## წყალბურთი

### ნუგზარ მშვენიერაძე — საუკეთესო

**მოსკოვში** სტუმრად იყვნენ უნგრელი წყალბურთელები, რომლებმაც ორი მატჩი გამართეს სსრ კავშირის ნაკრებთან. პირველ შეხვედრაში გაიმარჯვეს საბჭოთა წყალბურთელებმა — 6:4, ხოლო მეორე შეხვედრაში უნგრელებმა რევანში აიღეს — 7:6. უნგრელთა ნაკრების გუნდის მწვრთნელი დიარმატი საბჭოთა გუნდიდან განსაკუთრებით გამოყოფს ნ. მშვენიერაძის კარგ თამაშს. მან ორივე მატჩში ოთხი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

## ფეხბურთი

# თასები, თასები...

### ევროპული ტურნირები

**2 და 15 მარტს** ევროპის სამივე ძირითად საკლუბო ტურნირზე ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასზე გაიმართება მეოთხედფინალური მატჩები. რა მდგომარეობაა დღეისთვის ამ ტურნირებში?

### ჩემპიონთა თასზე

ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში ერთმანეთს ხვდებიან: „სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი, ავსტრია) — მიონხენგლადბახის „ბორუსია“ (გფრ), „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) — ტურინის „იუვენტუსი“ (იტალია), „ფკ ბრიუგე“ (ბელგია) — მადრიდის „ატლეტიკო“ (ესპანეთი), ლისაბონის „ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ლივერპული“ (ინგლისი).

თქმა არ უნდა, მეოთხედფინალში უძლიერესი გუნდები ხვდებიან ერთმანეთს და ფავორიტების დასახელებაც საკმაოდ ძნელია. პირველ წყვილს შორის ერთგვარი უპირატესობა, რა თქმა უნდა, მაინც „ბორუსიას“ უნდა მიენიჭოს. გუნდი, რომელსაც ლატეკი წვრთნის, ახლა ბუნდესლიგაში მეორე ადგილზეა. ჩინებულად თამაშობენ გუნდისა და ეროვნული ნაკრების კაპიტანი ფოგტსი, ცნობილი ნახევარმცველი ბონჰოფი, „ოქროს ბურთის“ ახლანდელი მფლობელი სიმონსენი. გუნდი აშკარად გამოხატულ მოიერიშე ფეხბურთს თამაშობს და გატანილი ბურთების რაოდენობით ბუნდესლიგაში მხოლოდ ლიდერს, „კიოლნს“ ჩამოუვარდება. „ბორუსია“, ცხადია, იბრძვის ჩემპიონის წოდების შესანარჩუნებლად. საინტერესოა, რომ „სვაროვსკი-ვაკერიც“ თავის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, ოღონდ, გერმანელთაგან განსხვავებით, თავისი წოდების შენარჩუნების არავითარი საშუალება არა აქვს.

„აიაქსი“ ეროვნულ ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, გამოეთხოვა თავის წოდებას. ასეთ პირობებში, ცხადია, ეს ძლიერი გუნდი ჩემპიონთა თასზე „იღებს აქცენტს“. თითქოს ჯიბრზე, „აიაქსი“ შეხვდა მეტისმეტად უხერხულ მეტოქეს — „იუვენტუსს“, რომელიც იტალიის ნაკრების ბირთვს წარმოადგენს. ტურინელთა დაცვა და ნახევარდაცვა (თითქმის იდენტური ნაკრების ამავე ხაზებთან) დიდი სიმტკიცითაც გამოირჩევა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ეროვნული ჩემპიონატის 18 ტურში მეკარე ძოფმა და მცველებმა გაუშვეს მხოლოდ 8 ბურთი. მართალია წინა ხაზი (კაუზიო, ბონინსენია და ბეტეგა) ახლა შარშანდელზე უარესად თამაშობს. ასეა თუ ისე, „იუვენტუსი“ მტკიცედ ლიდერობს იტალიის ჩემპიონატში და „აიაქსის“ ძლევის კარგი შესაძლებლობაც აქვს.

„ბრიუგე“ მტკიცედ ლიდერობს ბელგიის ჩემპიონატში. ახლა მან უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია „ორ ფრონტზე“ ბრძოლა. რაც შეეხება მადრიდის „ატლეტიკოს“, მაღალი კლასის მთელი რიგი მოთამაშეების მიუხედავად, იგი ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში უჩვეულოდ დაბალ ადგილზე აღმოჩნდა. გამოსავალი ერთია, — რეაბილიტაცია ჩემპიონთა თასზე.

„ბენფიკა“, თუმცა მტკიცედ ლიდერობს პორტუგალიის ჩემპიონატში, მაგრამ მეტად მრისხანე მეტოქეს წააწყდა „ლივერპულის“ სახით. „ლივერპული“, რომლის რიგებშიც განსაკუთრებით გამოირჩევა შოტლანდიელი დალგლიში, ახლა ინგლისის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა. გუნდი სულაც არ აპირებს ფარ-ხმლის დაყრას, მით უმეტეს, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ შორს არის.

### თასების მფლობელთა თასზე

მეოთხედფინალში ერთმანეთს ხვდებიან „რეალ-ბეტისი“ (სევილია, ესპანეთი) — მოსკოვის „დინამო“, „ვეილე ბკ“ (დანია) — ენსხედეს „ტვენტე“ (ჰოლანდია), „პორტო“ (პორტუგალია) — ბრიუსელის „ანდერლეხტი“ (ბელგია), ვენის „აუსტრია“ (ავსტრია) — სპლიტის „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია).

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით „რეალ-ბეტისის“ შესახებ. ეს გახლავთ ესპანეთის პირველი ლიგის საშუალო გუნდი, რომელშიც უცხოელი ფეხბურთელებიც თამაშობენ. წინა ტურებში მისი უმაღლესი მიღწევა იყო სახელოვანი „მილანის“ დამარცხება, მით უმეტეს, რომ ახლა ეს გუნდი ისევე აღმავლობის გზას დაადგა. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, მოსკოვის „დინამო“ უფრო მაღალი კლასის გუნდია და უპირატესობაც მას უნდა მიენიჭოს. მაგრამ ესპანელთა მხარეზე მაინც არის ერთი „კოზირი“ — აქ გაცხარებული ეროვნული ჩემპიონატი მიმდინარეობს და გუნდებმა თავიანთ მაქსიმალურ ფორმას მიაღწიეს, მაშინ, როდესაც მოსკოვის „დინამო“ მხოლოდ იანვრიდან ვარჯიშობს. ეს საკმაოდ არათანაბარ პირობებს ქმნის, თუმცა, ვიმეორებთ, მოსკოველებს გაცილებით უფრო მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი აქვთ.

თუ რაიმე განსაკუთრებული ამბავი არ მოხდა, ნახევარფინალის საგზურს „ტვენტე“ უნდა დაეუფლოს. დიდია განსხვავება ჰოლანდიის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბსა (ახლა ჩემპიონატში მეორე ადგილზეა) და დანიის მოყვარულთა გუნდს შორის.

„პორტომ“ თასის წინა წრეში ჩინებულად ითამაშა, მაგრამ ახლა მას რენსენბრინკისა და სხვა ცნობილი ვარსკვლავების კლუბი „ანდერლეხტი“ გადაეღობა. ბრიუსელელთა მწვრთნელი გუტალსი (ბელგიის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი), რომელსაც უკვე მოეცარა ხელი ეროვნულ ჩემპიონატში, ახლა განსაკუთრებულ იმედებს, და არც თუ უსაფუძვლოდ, სწორედ თასების მფლობელთა თასზე ამყარებს.

ძნელი სათქმელია, როგორ შეფასდებოდა შესაძლებლობები სხვა დროს, მაგრამ ახლა ვენის „აუსტრია“ და სპლიტის „ჰაიდუკი“, გასაგები ამბების გამო, აშკარად არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ. „აუსტრია“ მტკიცედ ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატში და, ეტყობა, დაეუფლება კიდეც წოდებას. „ჰაიდუკი“, რომელიც ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“, „პარტიზანთან“ და ზაგრების „დინამოსთან“ ერთად თავისი ქვეყნის ოთხ დიდ კლუბს მიეკუთვნება, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ იანვარში შეუდგა ვარჯიშს და, ცხადია, შორს გახლავთ თავისი ნამდვილი ფორმისაგან. ძნელი სათქმელია, რა მოხდება ამ ორი ცნობილი კლუბის შეხვედრისას. ორივე მხარე კი ნახევარფინალში გასვლას იმედოვნებს.

### უეფას თასზე

მეოთხედფინალში ერთმანეთს ხვდებიან: „მაგდებურგი“ (გდრ) — „პსვ ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია), „კარლ ცაისი“ (იენი, გდრ) — „ბასტია“ (საფრანგეთი), მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი“ (გფრ) — ციურიხის „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია), „ასტონ ვილა“ (ბირმინგემი, ინგლისი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი).

პირველი შეხვედრა მეტად დიდ ინტერესს იწვევს. „ეინდჰოვენი“ მეტად ძლიერი გუნდია, მტკიცედ ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატში. „მაგდებურგი“ ბრძოლაში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ებმება. აი, რა განაცხადა მისმა მწვრთნელმა ურბანჩიკმა: „ეინდჰოვენზე“ უფრო უსიამოვნო მეტოქეს ჩვენ ვერ შევხვდებოდით. მასთან სათამაშოდ საჭიროა ისეთი ფორმა, როგორიც, ვთქვათ, „შალკე 04-თან“ გვქონდა. მაგრამ ისიც უნდა მოვახსენოთ, რომ ძლიერ გუნდებთან ჩვენ ტრადიციულად ბრწყინვალე ფორმით ვთამაშობთ ხოლმე“.

„კარლ ცაისი“ წინა ტურშიც ფრანგულ გუნდს შეხვდა — „ლანს“. მისი მწვრთნელი მაიერი ამბობს: „ჩვენ კარგად ვიცნობთ ფრანგულ ფეხბურთს და „ბასტიასაც“ ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ“. „კარლ ცაისი“ ითამაშებს თავის წამყვან ფორვარდ ფოგელის გარეშე, რომელმაც უეფას სადისციპლინო კომისიის დადგენილებით ერთი მატჩი უნდა გამოტოვოს. ამ შეხვედრაში მეტოქეთა შესაძლებლობები საკმაოდ ბუნდოვანია.

„აინტრახტი“ ბუნდესლიგაში ახლა მერვე ადგილზეა. ახალი მწვრთნელი კრამერი ცდილობს გუნდის შედეგების გაუმჯობესებას. ცხადია, ჩემპიონობისთვის რეალური ბრძოლა გუნდს არ შეუძლია, მაგრამ იგი ქვეყნულში მოხვედრის შემთხვევაში უეფას თასის მომდევნო გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს. ახლა შესანიშნავად თამაშობენ გუნდის დირიჟორი გრაბოვსკი და აგრესიული თავდამსხმელი ჰოლცენბაინი. ძნელი სათქმელია, როგორ გამოიყურება ახლა „გრასჰოპერსი“. გუნდს ხომ ჩემპიონატში ხანგრძლივი შესვენება ჰქონდა.

„ბარსელონას“, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, უეფას თასის წინა ტურში ძალიან უჭირდა. ვეტერანების მაღალი კლასის წყალობით, მან მაინც დააღწია ორჯერ თავი გასაჭირს. ახლა ესპანელებს ასევე სახიფათო მეტოქე ჰყავთ — ბირმინგემის „ასტონ ვილა“, რომელიც ინგლისის ჩემპიონატში მერვე ადგილზეა.

ევროპის სამივე ტურნირში მეტად საინტერესო მეოთხედფინალური ეტაპი იწყება. ეს ის ეტაპია, როდესაც შეჯიბრებისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად იზრდება ხოლმე.

გ. თორელი.

# დაკარგული სახელი და გვარი

**10 კილომეტრზე** რბენა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად შეტანილ იქნა 1912 წელს. შესანიშნავმა ფინელმა მძლეოსანმა ჰანეს კოლეჰმაინენმა აჩვენა იმ დროისთვის წარმოუდგენელი შედეგი — 31.20,8. ყველა სპორტულ ცნობაში კოლეჰმაინენის მიღწევა რეგისტრირებულ იქნა, როგორც ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი.

16 წელი დასჭირდა ამ რეკორდის გაუმჯობესებას და მხოლოდ 1928 წელს ამსტერდამის ოლიმპიადაზე მეორე ლეგენდარულმა ფინელმა სტაიერმა პაავო ნურმიმ 1 წუთი დააკლო შედეგს. კიდევ უფრო ძნელი დასამარცხებელი აღმოჩნდა მსოფლიო რეკორდი ამ დისტანციაზე.

რეკორდების სიმტკიცეს 10.000 მეტრზე რბენაში საფუძველი შეერყა მხოლოდ 60-იანი წლების მიწურულში, როდესაც მსოფლიო მძლეოსნობის ცისკაბადონზე ამობრწყინდა რამდენიმე კაშკაშა ვარსკვლავი შავი აფრიკიდან. მექსიკის ოლიმპიური თამაშების შემდეგ მსოფლიო ალაპარაკდა კენიელი ნ. ტემუს, ეთიოპიელი მ. ვოლდეს, ტუნისელი მ. გამუდის დიდ პოტენციურ შესაძლებლობებზე, რომელთაგან თვითეულს თამამად შეეძლო იერიში მიეტანა ყველაზე რთულ და ძნელად დასაძლევ ოლიმპიურ დისციპლინაზე.

მაგრამ მძლეოსნობა საკმაოდ წინ წავიდა ბოლო 10 წლის მანძილზე. დღევანდელი მსოფლიო რეკორდი 10 კილომეტრზე რბენაში (27.30,5) 1968 წლის ოლიმპიელისთვის წარმოუდგენელი მიღწევა იქნებოდა, კენიელი სიმონ კიმომბვას ამ რეკორდს კი მძლეოსნური სამყარო თავდაჭერილი აღტაცებით შეხვდა. წარმოუდგენელი მასში არაფერი იყო.

და მაინც კიმომბვას მიერ ნაჩვენები შედეგი ფინეთის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე მძლეოსნობის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველა დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიღწევა.

დღეს ჩვენს მიზანს არ შეადგენს რეკორდის ანალიზი, ან საუბარი შესანიშნავი კენიელი მძლეოსნის წვრთნის მეთოდიკის თავისებურებებზე. ჩვენ მხოლოდ გავიხსენებთ ერთ პატარა კურიოზს სიმონ კიმომბვას სპორტული ბიოგრაფიიდან.

დააკვირდით კარგად: ოფიციალურ პრესაში და დოკუმენტებში ჰელსინკის ცნობილი გამარჯვების შემდეგ მსოფლიო რეკორდის ავტორად მოხსენიებულია კენიელი სიმონ კიმომბვა. ასეა რეგისტრირებული რეკორდი მძლეოსნური კავშირის საკონტროლო ბიულეტენებშიც. მაგრამ მსოფლიოს ახალ რეკორდსმენს სინამდვილეში სახელიც სხვა აქვს და გვარიც.

თუმცა, აი რას ამბობს ამის შესახებ თვით „დაზარალებული" სპორტსმენი: „მეორე ასო „მ" ჩემს გვარში ზედმეტია: იგი ალბად შემთხვევით მოხვდა სასტარტო ოქმში. სინამდვილეში მე სამსონი მქვია (და არა სიმონი) და სრულად ჩემი სახელი და გვარი ასე იწერება სამსონ ნ. ბ. კიმობვა". სამწუხაროდ მსოფლიო სპორტის ისტორიაში ხშირია მსგავსი სამსახო ლაფსუსები. დაკანონდება ხოლმე რომელიმე გვარი შეცდომით და პიროვნებას უცვლის თავისი წინაპრების კეთილ სახელს. ასე მოხდა, კერძოდ 1908 წელს ლონდონის ოლიმპიადის დროს. იტალიელი მარათონელის დორანდო პიეტრის გვარი მდივანმა შეცდომით გადააადგილა და მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიაში დააკანონა როგორც პიეტრო დორანდო. დიდხანს იბრძოდა გამწარებული სპორტსმენი ამ უნებლიე შეცდომის გამოსასწორებლად, მაგრამ ამაოდ — ყველა კლასიკურ ცნობარში იგი პიეტრო დორანდოს სახელით არის მოხსენიებული.

კენიელი მსოფლიო რეკორდსმენი დაიბადა ოჯახში, რომელიც ატარებდა ბაინის გვარს. მაგრამ მომავალ მძლეოსანს იმდენი დაძმა ჰყავდა, რომ გადაწყვიტა ბაბუის გვარი მიეღო, რათა ახლობლებს როგორმე განესხვავებიათ იგი დანარჩენებისაგან. მამამისს კი ნოა ბაინი ერქვა. აქედანაა წარმომდგარი სწორედ შემოკლებული „ნ" და „ბ". ასე გახდა მომავალი მსოფლიო რეკორდსმენი კიმობვა და არა კიმომბვა.

ოჯახში იგი ერთადერთი სპორტსმენი როდია, კიმობვას 21 წლის ძმა მშვენივრად თამაშობს ფეხბურთს და სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. უფროსი ძმის მაგალითზე მანაც შეიცვალა გვარი. ახლა იგი სიმონ კიბორის სახელით არის ცნობილი.

სპორტით არიან გატაცებული ოჯახის სხვა წევრებიც, მაგრამ არც ერთს, რა თქმა უნდა, ჯერ არ მიუღწევია ისეთი წარმატებისთვის, როგორც სამსონ კიმობვას. ახალგაზრდა კენიელი მძლეოსანი ოპტიმისტურადაა განწყობილი — გადაწყვეტილი აქვს კიდევ 15 წელიწადს ემსახუროს სპორტს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას სულ ცოტა კიდევ 3 ოლიმპიადაში მოუწევს გამოსვლა.





**1500 საბჭოთა** საწარმოსა და ორგანიზაციაზე მეტი უკვე ჩაება ოლიმპიადა-80-ისთვის მზადებაში.

საორგანიზაციო კომიტეტმა მოიწონა ლენინგრადელი მხატვრის ნ. ბელკოვის მიერ შექმნილი ოლიმპიური პიკტოგრამის სისტემა. ბროლის და მინის ნაწარმისა და სუვენირების საკავშირო კონკურსზე უმაღლესი შეფასება დაიმსახურა კიეველი ა. ბალაბინის ნამუშევრებმა, რომელთა შორის არის ოლიმპიადის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ბროლის გრაფინი.

**სურათებზე:** ნ. ბელკოვი აჩვენებს ოლიმპიურ პიკტოგრამებს; ბროლის გრაფინი — ოლიმპიური ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი.

# „ოგნი ალატაუს" პრიზზე

**ალმა-ათის** მახლობლად, ჩიმბულაკის მთის ფერდობებზე დამთავრდა სამთო-მოთხილამურეთა საკავშირო თასის გათამაშების მეორე ტურის შეხვედრები გაზეთ „ოგნი ალატაუს" პრიზზე. ქალთა შორის სწრაფდაშვებაში 2200 მეტრი ყველაზე სწრაფად გაიარა მასპინძელმა ტ. ომელჩენკომ — 1.41,42, ვაჟთა შორის ამ სახეობაში იმარჯვა მისმა თანაგუნდელმა მ. ჰუსაინოვმა.

ქალები 1100-მეტრიან გიგანტურ სლალომის ტრასაზე ცდიდნენ ძალას. აქ უძლიერესი აღმოჩნდა მინსკელი ტ. ფომიჩევა — 1.16,63. ვაჟები ჯერ 1100, ხოლო შემდეგ 1200-მეტრიან ტრასაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ორი ცდის ჯამში აქაც უძლიერესი გახლდათ ჰუსაინოვი — 2.21,62.

ამ ასპარეზობიდან შეჯიბრების მონაწილენი გამოემართნენ ბაკურიანისკენ, სადაც სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადაში იასპარეზებენ.

## რეკორდები

**ვიტყობინებოდით,** რომ მოსკოვში გამართულ წყალქვეშ მოცურავეთა შეჯიბრებაში 18 წლის ე. ხლებნიკოვამ 800 მეტრზე ფარფლებით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

მაგრამ ეს ქალიშვილი ერთი წარმატებით როდი დაკმაყოფილდა, მან ამ შეჯიბრებაში კიდევ ორი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა: 400 მეტრზე 3.45,3 აჩვენა, ხოლო 1500 მეტრი 14 წუთსა და 50,65 წამში გაცურა.

# მძლეოსნურ მერიდიანებზე

**ამ დღეებში** უჩვეულო ამბავი მოხდა: გდრ-ის სპორტსმენმა ქალებმა ჰ. როკმა და უ. ბრუსმა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქალაქში 800 მეტრზე რბენაში ერთნაირი შედეგი — 2.00,6 აჩვენეს და 0,5 წამით გააუმჯობესეს ბულგარელ ნ. შტერევას მსოფლიო მიღწევა დარბაზებისთვის. როკმა კოტბუსში იმარჯვა, ხოლო მეორე დღეს ბრუსმა ბერლინში აჩვენა ეს შედეგი.

ნიუ-იორკში ამერიკელ მძლეოსანთა ჩემპიონატში ჰ. მაკ-ტირმა 60 იარდზე რბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მისი შედეგია 6,04 წამი.

ევროპის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატის წინ გფრ-ის ათლეტთა ჩემპიონატი ზინდელფინგენში გაიმართა და მაღალი შედეგებით აღინიშნა: 200 მეტრზე რბენაში მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა კ.-ჰ. ვაიზენზელმა — 21,11. ფ.-პ. ჰოფმაისტერმა 400 მეტრი 47,4 წამში გაირბინა, ხოლო 60 მეტრზე თარჯრბენში ს. კემპინმა 8,11 წამი აჩვენა. სიმაღლეზე ხტომაში ეროვნული რეკორდი დაამყარა ბ. ჰოლცაპფელმა — 193. ვაჟთა შორის ამავე სახეობაში იმარჯვა კ. ტრენჰარდტმა — 226 სმ.

ჩეხოსლოვაკიის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატში, რომელიც იაბლონეცში გაიმართა, მსოფლიო რეკორდსმენმა ჰ. ფიბინგეროვამ ბირთვი 21,26 მეტრზე ჰკრა.

# ამაგდარი



შაშს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს ფოთში. ეს უპირველეს ყოვლისა, ვეტერანი მოშაშის ა. ფეიდერის დამსახურებაა. ამ დაუღალავმა კაცმა ბევრს შეაყვარა ეს უძველესი თამაში. მისი მეცადინეობით ფოთში გამოჩნდნენ ნიჭიერი მოშაშეები, რომელთაგან თენგიზ ბარამიძემ ქართველთა შორის პირველმა მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება.

ა. ფეიდერი 1941 წლიდან ცხოვრობს ფოთში და 30 წელია თავკაცობს ქალაქის საჭადრაკო-საშაშო კლუბს. ამ ხნის მანძილზე იგი ახალგაზრდობას გადასცემს თავის ცოდნასა და გამოცდილებას, მონაწილეობს შეჯიბრებებში. 30-იან წლებში ფეიდერი აქტიურად გამოდის საკავშირო ტურნირებში, სადაც წარმატებებიც ჰქონდა.

ა. ფეიდერის აღზრდილ ფოთელ ყმაწვილებს ბევრჯერ უსახელებიათ თავი, მაგალითად, 1951 და 1964 წლებში მათი გუნდი საქართველოს ჩემპიონი იყო. უძლიერესმა მოშაშეებმა თ. ბარამიძემ და მისმა ძმამ — აგრეთვე, ოსტატმა თამაზმა რამდენჯერმე მოიპოვეს რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი. ჭაბუკებს შორის ჩემპიონები იყვნენ ზ. გულორდავა, გ. კურდღელია და სხვ. ღვაწლმოსილი მწვრთნელის ბევრმა აღზრდილმა ოსტატობის კანდიდატის თანრიგი მოიპოვა.

72 წლის ვეტერანი-მწვრთნელი ახლაც ამეცადინებს ახალგაზრდებს.

**თ. ქიქავა.**

• • •

**სურათზე:** ა. ფეიდერი.
ავტორის ფოტო.

## შაში

### ელექტრომექანიკოსთა გამარჯვებით

ჭიათურის მეტალურგთა კულტურის სასახლეში ჩატარდა „განთიადის" საქალაქო საბჭოს გუნდური პირველობა შაშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 11 ფიზკულტურული კოლექტივი (თითოეულ გუნდში — 2 ვაჟი და 1 ქალი).

ჩემპიონის სახელი მოიპოვა სამთომადნო კომბინატის ელექტომექანიკური სახელოსნოს გუნდმა. II ადგილზეა ცენტრალური დამყვანი და საფლოტაციო ფაბრიკის კოლექტივი, III ადგილი ხვდა მშენებლობის ტრესტის გუნდს.

დაფების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: პირველზე — ი. ცხოვრებაძე (მექანიკური სახელოსნო), მეორეზე — დ. ერონდიდი (ცენტრალური დამყვანი და საფლოტაციო ფაბრიკა), ქალთა დაფაზე დ. კვინტიძე (დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველო).

**რ. თურმანიძე.**

## იუბილეს მიეძღვნა

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში მოეწყო დედაქალაქისა და თბილისის ოფიცერთა სახლის მოჭადრაკეთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა, რომელიც შეიარაღებული ძალების მე-60 და საბჭოთა საქართველოს 57-ე წლისთავს მიეძღვნა. არმიელთა გუნდში გამოდიოდნენ ოსტატები რ. კორსუნსკი, ა. იზვოზჩიკოვი და ოსტატობის კანდიდატები. თბილისელთა ნაკრებში იყვნენ ოსტატი გ. ზაიჩიკი, ოსტატობის კანდიდატები ვ. ვეფხვიშვილი, დ. გედევანიშვილი, დ. ექვთიმიშვილი, ჰ. არნშტეინი, ე. მიქაელიანი და სხვ.

გაიმარჯვეს დედაქალაქის მოჭადრაკეებმა — 13:9.

**ო. ალხანიშვილი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

## ჭადრაკი

### განთიადელთა პაექრობა

ჩატარდა „განთიადის" თბილისის საქალაქო საბჭოს ვაჟთა პირველობა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ვ. ჯაბაჯიანმა (სპორტკლუბი „უშბა"). II ადგილზეა დ. ექვთიმიშვილი, III ადგილი ხვდა გ. კალატოზიშვილს, IV — ა. რაბადანოვს, V-VI ადგილები ჰაიყვეს შ. ჭრელაშვილმა და პ. კუჩეროვმა. ეს ექვსი მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში.

**ა. ოთარაშვილი.**

## პრეზიდენტის განცხადება

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა, გენერალმა ალბერტო მერლომ განაცხადა, რომ პირველობის მოსამზადებელ სხვადასხვა სამუშაოსთვის არგენტინელმა ორგანიზატორებმა უკვე დახარჯეს 900 მილიონი დოლარი.

## მენოტის აზრით

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა მენოტიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ გფრ-ისა და ჰოლანდიის ნაკრებები ამჟამად უკვე აღარ წარმოადგენენ ისეთ მრისხანე ძალას, როგორიც ისინი 1974 წელს იყვნენ. ამჯერად, არგენტინელ მწვრთნელს ევროპული გუნდებიდან ყველაზე უფრო ძლიერებად იტალიისა და შოტლანდიის გუნდები მიაჩნია.

## ფეხბურთი

### ყველაზე პოპულარული კლუბი

„მანჩესტერ იუნაიტედი" ყველ[illegible] ვინდებურად რჩება ინგლისის ყვე[illegible] ლაზე უფრო პოპულარულ კლუ[illegible] ბად. 1970-77 წლებში მისი მონა[illegible] წილეობით 294 მატჩს დაესწრო 12530377 მაყურებელი. ეს საშუა[illegible] ლოდ ერთ მატჩში 42620 მაყურე[illegible] ბელს უდრის. „ლივერპულ" [illegible] ცილებით უკეთესი შედეგები აქ[illegible] „მანჩესტერ იუნაიტედთან" შე[illegible] რებით როგორც შინაურ, ისე საე[illegible] თაშორისო ასპარეზზე, მაგრამ ნა[illegible] კლები მაყურებელი ჰყავს. მის [illegible] დენივე მატჩს 11.827.860 მაყურე[illegible] ბელი დაესწრო, საშუალოდ 4023[illegible] კაცი ერთ მატჩში.

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ჯაფარიძე.**

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი სამუშაოდ იღებს კონტროლიორებს 1978 წლის ფეხბურთის სეზონისათვის. ცნობების მისაღებად გთხოვთ მიმართოთ სპორტკომბინატის კადრების განყოფილებას.

**დირექცია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380008. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-[illegible]; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-56; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 07708